საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი 13.05.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

მაგდა მაღრაძე - სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი" საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა რუხაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ელენე ჯიბლაძე - დირექტორი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ეკა ლეკაშვილი;
მურად გარუჩავა.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

მერაბ ბერიძე - რექტორი;
ნიკოლოზ ახალკაცი - რექტორის მოადგილე;
ზაირა ტყეგუჩავა - პროგრამის ხელმძღვანელი;
კობა მიქაძე - პროფესორი;
გალია ცქვიტინიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

მაკა კაჭკაჭიშვილი - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ქეთევან ჯინჭარაძე - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
თეიმურაზ ტორონჯაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

კახა შენგელია - რექტორი, პრეზიდენტი;
ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე-პრეზიდენტი;
მაია გონაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
ნინო კალანდაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
მარინა მიქელაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
გურანდა ჭელიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით ნატროშვილი - პროგრამის ხელმღვანელი;
სოფიო შენგელია - პროგრამის ხელმღვანელი;
ლევან მოსახლიშვილი - პროგრამის ხელმღვანელი.

სხდომა დაიწყო 15:30 საათზე, საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. ზაზა მარუაშვილმა განაცხადა თვითაცილება შპს - კავკასიის უნივერსიტეტის საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო ზაზა რუხაძემ შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საკითხთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის გამო.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემცენარის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მემცენარე
განათლების საფეხური	მესამე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	010155
კრედიტების რაოდენობა	60

ექსპერტმა მურად გარუჩავამ დადებითად შეაფასა პორგრამა და საბჭოს გააცნო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო გეგმას დაემატოს საველე ლაბორატორიული მუშაობა, შესაბამისი კრედიტებით. იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო პროგრამით გათვაისწინებულ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციაზე გასვლა ხდება ძირითადად, აღნიშნული სასწავლო კურსის საფუძველზე;
- მიზანშეწონილია, პროგრამის სასწავლო კურსს „ნიადაგმცოდნეობა აგროქიმიის საფუძვლებით“ დაემატოს ისეთი საკითხები, როგორიცაა სასუქების გამოყენების სისტემა, ჰერბიციდების შეტანის ნირმები და ვადები;
- სადურველია, მოხდეს ბიბლიოთეკის შევსება შესაბამისი პროფილის უცხოური კიტერატურით.

თავმჯდომარემ ექსპერტს განმარტება სთხოვა საველე მუშაობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, საველე მუშაობა რომელ ბაზაზე შეიძლებოდა ჩატარებულიყო; სად ხდებოდა საწარმოო პრაქტიკის განხორციელება და კონკრეტულად რომელი უცხოენოვანი ლიტერატურა იყო შეთავაზებული მის მიერ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლება იყო პრაქტიკული განათლება და სჭირდებოდა უფრო მეტი პრაქტიკული მუშაობა, ვიდრე აუდიტორიული, უნივერსიტეტს გააჩნდა „ელკანის“ ბაზა, სადაც ბაკალავრიატის სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას. უნივერსიტეტს ასევე ჰქონდა სხვა მრავალი ბაზა და შესაბამისი მიმართულებით მემორანდუმებიც ჰქონდა გაფორმებული. უცხოური ლიტერატურის შესახებ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში, გულისხმობდა ზოგადად შესაბამისი უცხოური ლიტერატურის მოძიებას, მიწოდებას და სასწავლო პროცესში გამოყენებას.

თავმჯოდმარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ძირითადად იყო მექანიკური და ზოგადი ხასიათის, უნივერსიტეტს ჰქონდა საველე ლაბორატორია ყველანაირი კულტურის ნათესებითა და წვეთოვანი სარწყავი სისტემით. ასევე, გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმები. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას საგანთან მიმართებით, სარეველა მცენარეებთან დაკავშირებით, ზოგადი მიწათმოქმედების კურსში ყველაფერი იყო გაწერილი, სხვანაირად მიწათმოქმედების სწავლება წარმოუდგენელი იყო. მისი თქმით, ყველა რეკომენდაცია მისაღები და გასთვალისწინებელი იყო. უნივერსიტეტის რექტორმა

დაამატა, რომ ბაზაზე სპეციალურად იყო ჭა, რომ წვეთოვანი სარწყავი სისტემა უზრუნველყოფილი ყოფილიყო წყლით გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროსაც.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, თუ უნივერსიტეტში უკვე იყო მემცენარის საბაკალავრო პროგრამა, რატომ მიიღეს პროფესიული პროგრამის სახით მისი განხორციელების გადაწყვეტილება.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროფესიული პროგრამით ცდილობდნენ მოეზიდათ უფრო მეტი ახალგაზრდა და მათი რესურსი მაქსიმალურად გამოეყენებინათ რეგიონისათვის. პროგრამები გათვლილი იყო სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტებზე.

მამია ჯანჯალიამ მიმართა ექსპერტს, პროფესიაში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთებულიყო პრაქტიკაზე, ამ შემთხვევაში კი რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს საბაკალავრო კურსის ნაწილი გადმოტანილი იყო პროფესიულში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამის შესაბამისად კრედიტები გაზრდილი იყო, პირველ-მესამე საფეხურზე, იყო 60 კრედიტი. პრაქტიკისთვის გათვალისწინებული იყო 225 კრედიტი, ანუ 40 პროცენტი სტანდარტის მიხედვით.

მაია ჩიხლაძემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სასწავლო პროგრამაში და ექსპერტთა დასკვნაშიც შვიდ სასწავლო დისციპლინაზე თითო სასწავლო კურსზე გამოყოფილი იყო ხუთი კრედიტი. სილაბუსებში ინფორმატიკასა და უცხო ენზე გათვალისწინებული იყო 2-2 კრედიტი. დაჯამების შედეგად, გამოდიოდა 54 კრედიტი და არა 60. სტანდარტის მიხვით კი, მინიმუმ 60 კრედიტი უნდა ყოფილიყო ამ მიზნით გათვაილსწინებული. ასევე, მიწათმოქმედების საფუძვლებს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, ინფორმატიკას და ინგლისური ენის საწყის კურსს ჰქონდა 5 კრედიტი, რაც არ მიაჩნდა სწორ გადანაწილებად და ამის დაბალანსებაც საჭირო იყო. საბჭოს წევრმა ასევე მიუთითა მექანიკური შეცდომების შესახებ, რაც ექსპერტისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლების თქმით, გასწორდა.

მაგდა მაღრაძემ ექსპერტს მიმართა შეკითხვით, თუ ლიტერატურა იყო პრობლემური ამ თემატიკასთან დაკავშირებით, მაშინ რას იყენებდნენ და რას ეყრდნობოდნენ ამ პროგრამის განმახორციელებლები, რამდენად შეძლებდა სტუდენტი პროგრამის დაძლევას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქართულ ენაზე მწირი იყო პროფესიული ლიტერატურა, თუმცა ამ შემთხვევაში ლექტორს უნდა მიეწოდებინა სტუდენტებისთვის მის მიერ შერჩეული შესაბამისი ლიტერატურა, რომ სტუდენტს არ არეოდა თავისი ცოდნა პროფესიულსა და ბაკალავრიატის დონეში. მწირი იყო პროფესიული ლიტერატურა, თუმცა ბაკალავრიატის დონის ლიტერატურა ძალზედ დიდი იყო და ლექტორს უნდა უზრუნველეყო სტუდენტები კონსპექტებითა თუ სხვა რაიმე საშუალებებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ყველა ნაკლოვანებას გამოასწორებდნენ პროგრამის ამუშავებამდე და ასევე აპირებდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სპეციალობის წიგნების შეძენასა და სწავლების პროცესში გამოყენებას. უნივერსიტეტის რექტორმა დაამატა, რომ გერმანიასთან ჰქონდათ გაფორმებული ხელშკრულება აღნიშნული პროფილის წარმომადგენელებთან დასაც მათი სამი სდტუდენტი მიდიოდა პრაქტიკის გასავლეად.

ნანა გაფრინდაშვილმა იმედი გამოთქვა პროგრამის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

2. **სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის დასახელება	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი
განათლების საფეხური	მესამე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	010 251
კრედიტების რაოდენობა	45

3. **სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის დასახელება	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი
განათლების საფეხური	მეოთხე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	010 251
კრედიტების რაოდენობა	60

4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი
განათლების საფეხური	მეხუთე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	010 251
კრედიტების რაოდენობა	60

საკითხის განხილვის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების მიმართ (ვეტერინარიული მომსახურების მე-3, მე-4 და მე-5 პროფესიული პროგრამა) ექსპერტის მიერ ანალოგიური მოსაზრებები იქნა გამოთქმული, შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლებსაც ერთიანი მოსაზრება ჰქონდათ, ამდენად, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ორივე პროგრამის შემთხვევაში, საკითხების ერთად განხილვა.

ექსპერტმა მურად გარუჩავამ დადებითად შეაფასა პორგრამა და საბჭოს გააცნო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად მიგვაჩნიასაგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სასწავლო გეგმაშიდაემატოს საგანი „ცხოვრება ბიოქიმიის საფუძვლები" შესაბამისი კრედიტებით. იმის გათვალისწინებით, რომ იგი წარმოადგენს წინაპირობას ისეთი საგნების შესწავლისა, როგორიცაა: შინაურ ცხოველთა კლინიკური დიაგნოსტიკა, ფარმაკოოგია, სავეტერინარო ტოქსიკოლოგია და სხვა;
- სასურველია მოხდეს ბიბლიოთეკის შევსება შესაბამისი პროფილის უცხოური ლიტერატურტით;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო, უნივერსიტეტში არსებული სასწავლო მასალებისა (სხვადასხვა ცხოველების ჩონჩხი, მულაჟები) და ვაქცინების, სადეზინფექციო ხსნარების და ვეტერინარული ხელსაწყო-იარაღების სხვადასხვალაბორატორიაში განთავსება.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენელს.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, პროფესიული პროგრამებისთვის ლიტერატურის პრობლემა მხოლოდ აღნიშნულ დაწესებილებას ჰქონდა თუ ზოგადი პრობლემა იყო. ასევე დაინტერესდა მემორანდუმებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის პრობლემა ზოგადად ყველა პროფესიულ პროგრამას ქონდა, ხოლო მემორანდუმები ახაციხის უნივერსიტეტს საკმაოდ ბევრი ჰქონდა გაფორმებული.

რექტორმა აღნიშნა, რომ პროგრამა განხორციელდებოდა ახალქალაქში. რადგან ვეტერინალური კუთხით ახალხაქალაქი ხელსაყრელი იყო პროგრამისათვის. რეგიონში

მეცხოველეობა განვითარებული იყო და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სფეროს განვითარებას და ახალგაზდების დაინტერესებას ამ სფეროთი.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ცხოველთა ბიოქიმიის დამატებას ითვალისწინებდნენ მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ ისეთი საგნები როგორიცაა: ანატომია, ქირურგია, რომელიც იყო ფუძე იმისა, რომ სტუდენტს ჰქონოდა ბიოქიმიის ცოდნა. უცხოურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას ითვალისწინებდნენ. მულაჟებსა და ხელსაწყოებზე რეკომენდაციას დაეთანხმა.

ირაკლი მაჩაბაელი დაინტერესდა ქართულად ასწავლიდნენ თუ არა სტუდენტებს.

რექტორმა დაადასტურა, რომ ქართულად მიმდინარეობდა სწავლება. ჯგუფი, რომელსაც ახალქალაქში უნდა ემუშავა ქართულენივანი პროფესურა იყო, სტუდენტები ისწავლიდნენ ქართულად და შეისწავლიდნენ ქართულ ენას.

მამია ჯანჯალიამ გააკეთა კომენტარი, რომ ეს იყო საკმაოდ სპეციფიური დარგი, სპეციფიური საგნებისაგან შედგენილი და ქართველი ბავშვებისთვისაც საკმაოდ რთული იქნებოდა ერთ წელში მომზადებულიყვნენ იმ საგნებით, ხომ არ აჯობებდა არაქართულენოვანბი სტუდენტებისათვის რუსულად ესწავლათ, რომ მათთვის უფრო გასაგები ყოფილიყო.

უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ ქართული ენის სწავლების საკითხი საკმაოოდ მაღალ დონეზე იყო სამცხეში, ერთი წელიწადი საკმარისი იქნებოდა ენის შესასწავლად ისეთ დონეზე, რომ მერე მოესმინათ ლექციები და დაუფლებოდნენ სპეციალობას.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დროს აფრიკიდან ჩამოსულ ხალხს ეთი წელი სრულიდ ჰყოფნიდათ, რომ შემდეგ უნივერსიტეტში ჩაებარებინათ. ასე, რომ საკმარისი იქნებოდა ენაში მომზადების ერთწლიანი კურსი, თუ სწავლების ხარისხი იქნებოდა შესაბამისი.

მაგდა მაღრაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტების ინტეგრაციისთვის აუცილებელი იყო ქართულენოვანი სწავლება, მას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ინგლისური ენის სილაბუსები იყო ძალიან მწირი, მითითებული ლიტერატურა სტუდენტს იმ შედეგზე ვერ გაიყვანდა რაც თვითშეფასებაში იყო მითითებული.

დავით კახნიაშვილმა მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, კარგი იქნებოდა თუ მსოფლიოში ვეტერინარიის კუთხით განხორციელებილი ცვლილებების შესახებ ინფორმაციას გააცნობდნენდ და დაინტერესებდნენ მოსახლეობას.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა პრაქტიკის სიმულაციებით ჩანაცვლება რამდენად მისაღები იყო, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ სრულიად მიზანშეწონილი იყო ასეთი ჩანაცვლება, სტუდენტებს შეეძლოთ თავდაპირველად სიმულაცია გაევლოთ მულაჟებსა და ჩონჩხებზე, რომლებიც უნივერსიტეტში იყო და შემდგომ ფერმაში, რისი საშუალებაც უნივერსიტეტს ჰქონდა. მულაჟებსა და ჩონჩხებზე პრაქტიკული მუშაობა სტუდენტს აძლევდა თეორიულ ცოდნას.

მაია ჩიხლაძემ მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, რომ მემცენარის სილაბუსი საკმაოდ რთული აღსაქმელი იყო და მოუწოდა გამარტივებისაკენ, რათა სტუდენტებს უკეთ გაეაზრებინათ. ასევე, შეფასება იყო ერთგვაროვანი, რაც არ იყო მისაღები. ამასთანავე, დაინტერესდა მემორანდუმებით და თვითშეფასებაში მითითებული სუსტი მხარით, რაც უნივერსიტეტის ბაზაზე აკადემიური პერსონალის სიმწირეს შეეხებოდა.

უნივერსიტეტის რექტორმა უპასუხა, რომ მემორანდუმი ჰქონდათ ყარსის უნივერსიტეტთან. აკადემიური პერსონალის პრობლემაც უკვე მოგვარებული ჰქონდათ.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია იყო მისარები და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

მაგდა მაღრაძემ მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს ინფროატიკაში MS Word-სა და MS PowerPoint-თან ერთად ისწავლებოდეს MS Exel.

16:45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 17:20 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 8; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 8; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით (მომხრე - 7; წინააღმდეგი-1);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით (მომხრე - 7; წინააღმდეგი-1).

5. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	180

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია წარადგინა ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
- სასურველია, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მასში ცვლილებების განხორციელების პროცედურა, რომელიც შესაძლებელია აისახოს აკადემიური საგანამანთლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციაში, რაც გაამარტივებდა პროცესის მართვას და მასზე დაკვირვების განხორციელებას;
- პროგრამის მიხედვით სწავლების ენად განსაზღვრულია ქართულ-ინგლისური. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა არის ქართული. სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. წარმოდგენილი პროგრამების სასწავლო გეგმებში არ არის განსაზღვრული, თუ რომელი ინდივიდუალური სასწავლო კურსი/კურსები იკითხება ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, სასურველია სასწავლო პროგრამებით კონკრეტულად განისაზღვროს რომელის სასწავლო კურსები იკითხება ინგლისურ ენაზე;
- პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით კომპონენტებს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები არ გააჩნია, თუმცა სილაბუსების განხილვისას აღმოჩნდა, რომ სასწავლო კურსის „საერთაშორისო მაკროეკონომიკა" წინაპირობაა „საერთაშორისო ფინანსები", ხოლო ,,განვითარებადი ფინანსების" და „საერთაშორისო ფინანსური მენეჯმენტის" წინაპირობებია „საერთაშორისო ფინანსები, საერთაშორისო მაკროეკონომიკა; კაპიტალის ბაზრების თეორია და პრაქტიკა". ამასთან, ყველა ზემოაღნიშნული საგანი მიეწოდება მე-2-ე და მე-4-ე სემესტრებში. სასურველია, გასწორდეს წარმოდგენილი უზუსტობები;
- სასურველია, სადოქტორო ნაშრომის შეფასებაში მონაწილეობდეს გარე შემფასებელი, რაც უფრო ობიექტურს და გამჭირვალეს გახდის სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცესს; სასურველია, დაწესებულება იყოს უზრუნველყოფილი საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობით;
- სასურველი იქნება, თუ სადისერტაციო დაცვის კომისიის წევრთა შემადგენლობაში შევიდნენ ბიზნესის ადმინისტრირების სხვა დარგობრივი მიმართულებების სპეციალისტები, ან მოხდეს სადოქტორო კვალიფიკაციის ცვლილება ფინანსების სფეროს დაკონკრეტებით: „ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი ფინანსებში";
- სასურველია, ხარისხის მართვის სამსახურს შემუშავებული ჰქონდეს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, რომელთა შესრულებაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის თანმიმდევრულ სრულყოფას. ასევე,

სილაბუსებისა და პროგრამების შეფასების ფორმები, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობდა ინსტრუქცია, რომელიც დეტალურად აღწერდა როგორ უნდა შემუშავებულიყო პროგრამა, რა საკითხები უნდა ყოფილიყო მასში ასახული, მას ერთვოდა შესაბამისი შაბლონური ფორმებიც. ექსპერტის თქმით, პროგრამის შემუშავების პროცედურა არ იყო გაწერილი შესაბამის დოკუმენტში, თუმცა, შემუშავებული იყო უნივერსიტეტში სხვადასხვა სახის დებულება, ზოგადსაუნივერსიტეტო, ასევე, სკოლის დებულება, სადაც გაწერილი იყო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. მთლიანობაში საკითხი ასე წესრიგდებოდა, ხოლო ერთიანი სახით ჩამოყალიბებული ინსტრუქცია, შესაბამისი პროცედურების განსახორციელებლად არ ჰქონდათ, ამდენად, ეთანხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას და ინსტრუქციაში აუცილებლად შეიტანდნენ შესაბამის პუნქტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აქვე ისაუბრა მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნვეოყოფის სისტემასთან იყო დაკავშირებული. მისი თქმით, სტრატეგიული გეგმის შინაარსი ჩამოყალიბებული იყო და მოიცავდა განხორციელებული და განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, 2013-2014 წლის სამოქმედო გეგმის ასლი წამოღებული ჰქონდა და შეეძლო საბჭოსთვის წარედგინა. შესაბამის დოკუმენტს ერქვა „ანგარიში", თუმცა, სამომავლოდ უწოდებდნენ „სტრატეგიულ გეგმას".

სილაბუსებში შეფასების წარმოდგენის საკითხთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაბამის ინსტრუქციაში დეტალურად იყო საკითხები ასახული, თუმცა, ცდილობდნენ, რომ ლექტორის აკადემიურ თავისუფლებაში არ ჩარეულიყვნენ, ამ მხრივ, ზღვარს ავლებდნენ შინაარსსა და ფორმატს შორის. ამდენად, დეტალურად გაწერას არ სთხოვდნენ პერსონალს.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მოსაზრებით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო სადოქტორო საფეხურზე უცხო ენის კომპონენტის სათანადოდ წარმოჩენა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ინოვაციები ვერ იქნებოდა წარმოდგენილი. ამდენად, დაშვების წინაპირობად ცხადია გათვალისწინებული ჰქოდნათ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის აუცილებლობის დადასტურება, თუმცა, თუ სტუდენტს სურვილი ექნებოდა, შესაძლებლობას აძლევდნენ გაეუმჯობესებინათ პროგრამაზე სწავლის პერიოდში უცხო ენის დონე, რის უზრუნველსაყოფადაც სთავაზობდნენ შესაბამის სასწავლო კურსებს, არჩევითი კურსების სახით. თუმცა, მთლიანობაში ეთანმხებოდნენ ექსპერტის მოსაზრებას, რომ დოქტორანტი ნაკლებად უნდა ყოფილიყო უცხო ენის კურსებზე ორიენტირებული. სულ 3-4 კურსს ითვალისწინებდა პროგრამა ინგლისურ ენაზე, საუბარი იყო მხოლოდ ტექნიკურად შესაბამისი კურსის სწავლების ენის მითითება.

სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევდა თავად დაეგეგმათ სასწავლო წელი, ყველა შეთავაზებული სასწავლო კურსი იყო არჩევითი ხასიათის, თავისი მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს შეეძლო აერჩია სწორედ ის კურსი, რომელიც უფრო მეტად მიესადაგებოდა მის ინტერესს.

სადოქტორო ნაშრომის შეფასებაში გარეშემფასებლების გამოყენებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმოუდგენლად მიაჩნდათ სადოქტორო პროგრამის განხორციელება გარეშემფასებლის გარეშე, ამ მიზნით, შესაბამისი ინსტრუქცია

ჰოქნდათ, რომელიც აღწერდა შემფასებლის დანიშვნის პროცედურას. მათ არ უხელმძღვანელიათ იმ პრინციპით, რომ გარეშემფასებელი არ გაეთვალსიწინებინათ შეგნებულად, სამომავლოდ უფრო მეტად დეტალიზებული გახდებოდა ინსტრუქცია.

სადისერტაციო დაცვის კომისიის წევრთა შემადგებლობაში ბიზნესის ადმინისტრირების სხვა დარგობრივი მიმართულებების სპეციალისტების ჩართვასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბაზარზე ძალიან მწირად იყვნენ შესაბამისი მიმართულების კადრები წარმოდგენილნი, ამჟამად, შესაბამისი კომისია დაკომპლექტებული იყო როგორც ბიზნესის ადმინისტრიების დოქტორებით, ასევე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორებით, თუმცა, მათი შრომებით დასტურდებოდა კვალიფიკაცია მარკეტინგსა და ფინანსებში. გარეშემფასებლების ჩართვასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტების თაობაზე, წარომადგენლის თქმით, შეეძლო წარედგინა შესაბამისი ოქმი, რომელიც დანართის სახით იქნა წამოღებული დაწესებულებიდან, იქ უბრალოდ არ ფიგურირებდა სიტყვა „გარე", მთლიანობაში პრინციპი დაცული იყო.

ელექტორნულ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით წარმომაგდნელმა აღნიშნა, რომ ჰქონდათ წვდომა მასზე, თუმცა, ხელმისაწვდომი მხოლოდ ჟურნალები იყო. დღეისათვის უკვე ჩატვირთული იყო საცდელი ვერსია, რომელიც ითვალისწინებდა წიგნებზე წვდომასაც.

ირაკლი მაჩაბელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილი არ იყო პროგრამაში დასაქმების სფეროდ მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მითითება.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს და განმარტა, რომ აღნიშნულის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით იყო აღნიშნული მოწესრიგებული, ამდენად, მიუთითეს, თუმცა, ცხადია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს ბევრი მიმართულებით შეეძლო დასაქმება.

ირაკლი მაჩაბელმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დამოუკიდებელი მუშაობისთვის სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყოფილი ჰოქნდათ 99 საათი. მისთვის გაუგებარი იყო, რა პრინციპით აკლებდნენ ერთ საათს, მიზანშეწონილი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო ასი. ამასთან, ფორმალური ჩანაწერის სახე ჰქონდა, როდესაც ყველა სასწავლო კურსში დამოუკიდებელი მუშაობის საათები ერთნაირი მოცულობით იყო წარმოდგენილი, მაშინ როდესაც საგნები, სირთულის თვალსაზრისით, სხვადასხვა დონის შეიძლებოდა ყოფილიყო.

ნანა გაფრინდაშვუილმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ თუ სავალდებულო სახით იქნებოდა გათვალისწინებული გარეშემფასებლად შესაბამისი დარგის სპეციალისტი, ქართული საგანმანათლებლო სივრცე იმდენად ვიწრო იყო, რომ შეიძლებოდა ზოგიერთი მიმართულებით ობიექტური გარეშემფასებლის მოწვევა გართულებულიყო, ამდენად, ასეთი ჩანაწერის გაჩენა შეიძლებოდა რისკის შემცველი ყოფილიყო.

ექსპერტმა არ გაიზიარა საბჭოს წევრის მოსაზრება და აღნიშნა, რომ გარეშემფასებლის ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესშიც ძალიან მნიშვენელოვანი იყო და დისერტაციის დაცვის პროცესშიც, ყველაზე გამართულ მექანიზმად სწორედ ეს მიაჩნდა, უცხო თვალით დანახული და შეფასებული ნაშრომი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

ნანა გაფრინდაშვილი ასევე დაინტერესდა, როდესაც ეწერა, რომ ერთსადაიმავე სასწავლო კურსის გავლა ორჯერ შეეძლო სტუდენტს, იყო თუ არა ეს დაკავშირებული ხარჯებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული, მისი თქმით, ამას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ სტუდენტი დამატებით კრედიტზე აკეთებდა განაცხადს და შესაბამისი კრედიტის ათვისებაზე იყო დამოკიდებული.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ ყოველთვის, როდესაც სადოქტორო პროგრამა იყო წარმოდგენილი, საბჭო განსაკუთრებული გულისყურით ეცნობოდა მას. საბჭოს წევრმა

მადლობა გადაუხადა ექსპერტს ობიექტური შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ საერთო ნიშნით შეიძლებოდა წარმოდგენილი რეკომენდაციების დაჯგუფება. ამ მხრივ, მსგავსი იყო პირველი, მეოთხე და მეშვიდე რეკომენდაციები, რომელიც ადმინისტრირების საკითხებს განეკუთვნებოდა და არ იყო რთულად გამოსასწორებელი. ამასთან, სჯეროდა დაწესებულების ადამიანური რესურსის შესაძლებლობების და დარწმუნებული იყო, რომ მალევე მოახდენდნენ მის რეალიზებას. თავის მხრივ, მეორე და მესამე რეკომენდაციები დოკუმენტების ტექნიკურად გასწორებას ეხებოდა და ასევე მისაღები და მარტივად გასასწორებელი იყო. შედარებით არსებითი ხასიათის იყო მეხუთე რეკომენდაცია, რაც აუცილებლად უნდა ყოფილყიო გათვალისწინებული. სადისერტაციო საბჭოსთან დაკავშირებით, მისი მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო დაწესებულებისთვის მიეცათ შესაძლებლობა ჰქონოდა ერთი დიდი სადისერტაციო საბჭო, თუმცა, თემიდან გამომდინარე შეექმნათ დარგობრივი კომისიები. მისი მოსაზრებით, საბჭოს სხდომა პროგრამის გაუმჯობესებისათვის კიდევ ერთი ნაბიჯი იქნებოდა და განაცხადა, რომ მხარს უჭერდა პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგნელემა მადლობა გადაუხადა საბჭოს წვერს და აღნიშნა, რომ შესაბამის კადრებს ჰქონდათ ხარისხი მინიჭებული სხვა მიმართულებით, თუმცა, ჰქონდათ სამეცნიერო შრომები ფინანსებში, მარკეტინგში.

თავმჯოდმარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ვის მოიაზრებდნენ კონკურენტებად, თუ ჰქონდათ შესწავლილი საქრათველოს მასშტაბით პროგრამის ანალოგები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეიმურაზ ტორონჯაძემ აღნიშნა, რომ კავკასიის უნივერსიტეტს, ასევე სხვა უნივერსიტეტებსაც ჰქონდათ კარგი პროგრამები ამ მიმართულებით, თუმცა, კონკურენტებად არ განიხილავდნენ მათ. მისი თქმით, პროგრამა როგორც კი შეიქმნა, გაასაჯაროვეს იმ მიზნით, რომ განვითარებულიყო და არასოდეს დაუშლიათ ვინმესთვის ამ გამოცდილების გამოყენება.

კავკასიის უნივერსიტეტის რექტორმა, რომელიც იმყოფებოდა სხდომათა დაბაზში, ითხოვა სიტყვა და აღნიშნა, რომ ბატონი თემური იყო დარგის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, კავკასიის უნივერსიტეტს მასთან თანამშრომლობის გამოცდილება ჰქონდა.

6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0705
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი აკრედიტაციის საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ლიკა გიორგაძემ, რომელიც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ როგორც ცენტრის თანამშრომელი ჩართული იყო ექსპერტთა ჯგუფის მუშაობაში და ექსპერტთა ჯგუფის სახელით შეეძლო დაედასტურებინა, რომ წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის დაკმაყოფილება სახეზე იყო, დეტალურად იქნა განხილული ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის თითეოულ სტანდარტთან შესაბამისობა და შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები პროგრამის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით. მისი თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებთან რეკომენდაციების თაობაზე გაიმართა მსჯელობა ვიზიტის მიმდინარეობისას, ვრცლად და დეტალურად იქნა განხილული თითოეული მათგანი. მომხსენებლმა წაიკითხა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან რეკომენდაციები:

-სასურველია, განახლდეს „დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის" სასწავლო კურსის სილაბუსში გათვაილსწინებული სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი;

-სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გათვალისწინებულია ინგლისური ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება, ამასთან, პროგრამის დასრულების წინაპირობად მითითებული იყო შესაბამისი საერთაშორისო გამოცდის ჩაბარება. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თუ დაწესებულება შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენას პროგრამის დასრულების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს, სასურველია მეტად შეუწყოს ხელი სტუდენტთა მიერ შესაბამის შედეგებზე გასვლას.

მომხსენებლმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს განმარტეს, საერთაშორისო გამოცდის ჩაბარება არ წარმოადგენდა პროგრამის დასრულების აუცილებელ წინაპირობას, შესაძლებელი იყო პროგრამა მისი ჩაბარების გარეშეც დაესრულებინა სტუდენტს, თუმცა, მიზანშეწონილად მიაჩნდათ ასეთი ჩანაწერის პროგრამაში წარმოდგენა, იმისათვის რომ სტუდენტს მეტად აეღო პასუხისმგებლობა. მისი თქმით, დამაჯერებელი არგუმენტები მოისმინეს დაწესებულების წარმომადგენლებისაგან აღნიშნულის თაობაზე, უფრო ვრცლად ალბათ თავადვე ისაუბრებდნენ საკითხზე, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია დასკვნაში დაეფიქსირებინა აღნიშნული, მით უფრო, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს გასულ სხდომებზეც ეს თემა რამდენჯერმე გაჟღერდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საკითხზე მსჯელობა უკვე რამდენჯერმე გაიმართა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე.

თავმჯდომარე დაინტერესდა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით თუ განიხილეს შესაბამისი ლიტერატურა ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებთან.

ლიკა გიორგაძემ საბჭოს მოახსენა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფორმატი ითვალისწინებდა შეხვედრების მოწყობას დაწესებულების ადამიანურ რესურსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, სადაც დეტალურად იხილებოდა თითოეული საკითხი. მთელი ვიზიტი თანამშრომლობის ფორმატში მიმდინარეობდა და მისი მოსაზრებით, აღნიშნულ კონკრეტულ საკითხზეც უნდა ყოფილიყო საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დაწესებულების სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელმა ნინო კალანდაძემ აღნიშნა, რომ მართლაც, ვიზიტის დროს რეკომენდაციების ხანგრძლივი განხილვა ჰქონდათ. უცხო ენასთან დაკავშირებით დაწესებულებას ასეთი პოლიტიკა ჰქონდა, საერთო საუნივერსიტეტო მიდგომა იყო ამ შემთხვევაში გამოყენებული, რაზეც რექტორი პირადად ისაუბრებდა. სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იყო საკითხის შესახებ იმსჯელეს, რამდენიმე სახელმძღვანელო, კიდევ უფრო თანამედროვე, მართლაც იყო ბაზარზე, რომელიც სილაბუსის შემუშავების დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, საკითხზე ისაუბრეს კურსის ხელმძღვანელთანაც, რომელსაც სამომავლოდ გაითვალისწინებდნენ სილაბუსებში.

დაწესებულების რექტორმა კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ უცხო ენასთან დაკავშირებით პრინციპული პოზიცია ჰქონდათ და აპირებდნენ ეს მოთხოვნა უცვლელად დაეტოვებინათ, უცხო ენის სათანადო ცოდნის გარეშე ვერავის უნდა დაესრულებინა კავკასიის უნივერსიტეტი.

ირაკლი მაჩაბელმა ყურადღება გაამახვილა თვითშეფასებაში დაფიქსირებულ ჩანაწერზე „პროგრამის მიზანია გასცდეს პროგრამის მიზნებს", მისი მოსაზრებით, ასეთი ჩანაწერების გაკეთება არ იყო მიზანშეწონილი. ასევე, არ უნდა ყოფილყო მითითებული, რომ ერთი საათი უდრიდა 25 საათს, ერთი კრედიტი უნდა ყოფილყო 25-დან 30-მდე. გარდა ამისა, პროგრამის განმახორციელებლი ადამიანური რესურსის შემთხვევაში ზოგიერთი კურსის ხელმძღვანელთან დაკავშირებით ეწერა „აკადემიური დოქტორი", რაც არ იყო სწორი ფორმულირება.

კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ შესაძლოა ლაფსუსები ყოფილყი გაპარული.

სასწავლო კურსების კრედიტებით გაანგარიშებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცხადია, იცოდნენ რომ კრედიტი 25-დან 30-მდე საათამდე დატვირთას გულისხმობდა, მისი თქმით, ამ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში ჯერ მოხდა საათების დაანაგრიშება და ამი შემდეგ შესაბამისი კრედიტის გამოთვლა. სწორედ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით იქნა მითითებული 25 კრედიტი.
ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ მოეწონა წარმოდგენილი საგანმანათებლო პროგრამა, შესთავაზა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაშვებაზე გაეთვალისწინებინათ შეზღუდვა და ნებისმიერი მიმართულების ბაკალავრი არ დაეშვათ პროგრამაზე.

კახა შენგელიამ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე საუბარი ჰქონდათ დაწესებულებაში, მათ გადაწყვეტილების კოლეგიალურად მიღება ახასიათებდათ, მთლიანობაში ერთად იყალიბებდნენ ხედვას რაიმე საკითხის გარშემო. კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით შეეძლო ეთქვა, რომ სხვაგვარი რეგულაციების პირობებში გაცილებით მკაცრი მოთხოვნები ჰქონდათ დაწესებული, თუმცა, არსებული რეგულაციების გამო, იძულებულები იყვნენ კონსენსუსზე წასულიყვნენ და არ შეეზღუდათ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა კონკრეტული მიმართულების ბაკალავრის ხარისხით.

ნინო კალანდაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფშიც დაისვა თავის დროზე აღნიშნული საკითხი და მთლიანობაში, შეჯერდნენ, რომ ჩარიცხვის მსურველები კი არ შეეზღუდათ, არამედ, ბაზრის მოთხოვნებისათვის მოერგოთ პროგრამა. ამ მხრივ, გაითვალისწინეს საერთაშორისო პრაქტიკაც, რომელიც ორიენტირებული იყო სწორედ იმაზე, რომ მსურველისთვის შეეთავაზებინათ სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რაც შესაბამისი მაგისტრის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს და კურსები არ დაეშენებინათ მხოლოდ შესაბამისი მიმართულების ბაკალავრის ხარისხზე. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები სწორედ ამ პრინციპით იყო შერჩეული.

ნანა გაფრინდაშვილის თქმით, რეალისტური მიღების წინაპირობები, მინიმალური ზღვრის დაწესება გაუადვილებდა მდგომარეობას უნივერსიტეტსაც და სტუდენტსაც.

კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ დაწესებული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა უზრუნველყოფდა შესაბამისი კომპეტენციის პირების პროგრამაში ჩართვას. აღნიშნულს დაეთანხმა ნანა გაფრინდაშვილიც.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ამჟამად სტუდენტები თუ ჰყავდათ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, 2009 წლიდან ფუნქციონირებდა პროგრამა და ამჟამად 25 სტუდენტი ჰყავდათ.

7. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1109
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი აკრედიტაციის საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ლიკა გიორგაძემ, რომელიც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ როგორც ცენტრის თანამშრომელი ჩართული იყოს ექსპერტთა ჯგუფში და ექსპერტთა ჯგუფის სახელით შეეძლო დაედასტურებინა რომ წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის დაკმაყოფილება სახეზე იყო, დეტალურად იქნა განხილული ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის თითეოულ სტანდარტთან შესაბამისობა და შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები პროგრამის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით. მისი თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებთან რეკომენდაციების თაობაზე გაიმართა მსჯელობა ვიზიტის მიმდინარეობისას, ვრცლად და დეტალურად იქნა განხილული თითოეული მათგანი. მომხსენებლმა წაიკითხა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გათვალისწინებულია ინგლისური ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება, ამასთან, პროგრამის დასრულების წინაპირობად მითითებულია შესაბამისი საერთაშორისო გამოცდის ჩაბარება. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თუ დაწესებულება შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენას პროგრამის დასრულების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს, სასურველია მეტად შეუწყოს ხელი სტუდენტთა მიერ შესაბამის შედეგებზე გასვლას.
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით (მათ შორის, დამატებითი ლიტერატურა) სრული ინფორმაციის მითითება.

მომხსენებელმა დააზუსტა მეორე რეკომენდაცია, მისი თქმით, აქ იგულისხმებოდა მითითებული ლიტერატურასთან დაკავშირებით გამომცემის თარიღის და ა.შ. ინფორმაციის დეტალურად მითითება.

თავმჯდომარე დაინტერესდა პარტნიორი უნივერსიტეტებით, წარმოდგენილ მასალებში არსებული ვრცელი ჩამონათვალი მთლიანად დაწესებულების იყო თუ კონკრეტული სკოლის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩამონათვალი არსებობდა მთლიანად დაწესებულების პარტნიორების, თუმცა, თვითონ სკოლასაც, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, ჰყავდა შესაბამისი პარტნიორები.

კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში ხელი მოეწერებოდა ახალ ფართომასშტაბიან ხელშეკრულებას, მხოლდ ამ სკოლასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებდა ერთობლივი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებას.

8. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ევროპისმცოდნეობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ევროპისმცოდნეობის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	110405
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი აკრედიტაციის საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ლიკა გიორგაძემ, რომელიც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ როგორც ცენტრის თანამშრომელი ჩართული იყო ექსპერტთა ჯგუფში და ჯგუფის სახელით შეეძლო დაედასტურებინა, რომ წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის დაკმაყოფილება სახეზე იყო, დეტალურად იქნა განხილული ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის თითეოულ სტანდარტთან შესაბამისობა და შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები პროგრამის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით. მისი თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებთან რეკომენდაციების თაობაზე გაიმართა მსჯელობა ვიზიტის მიმდინარეობისას, ვრცლად და დეტალურად იქნა განხილული თითოეული მათგანი. მომხსენებლმა წაიკითხა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გათვალისწინებულია ინგლისური ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება, ამასთან, პროგრამის დასრულების წინაპირობად მითითებულია შესაბამისი საერთაშორისო გამოცდის ჩაბარება. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თუ დაწესებულება შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენას პროგრამის დასრულების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს, სასურველია მეტად შეუწყოს ხელი სტუდენტთა მიერ შესაბამის შედეგებზე გასვლას.
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით (მათ შორის, დამატებითი ლიტერატურა) სრული ინფორმაციის მითითება.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკაში ძალიან კარგად მუშაობდა მოთხოვნა ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებასთან დაკავშირებით, პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე ეს მოთხოვნა სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე იყო გათვალისწინებული პროგრამაში.

წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტექნიკური საკითხები მარტივად მოგვარდებადი იყო, მათთვის მთავარი იყო ის, რომ ექსპერტმა ვიზიტის დროს ხაზი გაუსვა პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურის აქტუალურობას და თანამედროვეობას.

9. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი აკრედიტაციის საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ლიკა გიორგაძემ, რომელიც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ როგორც ცენტრის თანამშრომელი ჩართული იყო ექსპერტთა ჯგუფში და ექსპერტთა ჯგუფის სახელით შეეძლო დაედასტურებინა, რომ წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის დაკმაყოფილება სახეზე იყო, დეტალურად იქნა განხილული ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის თითეოულ სტანდარტთან შესაბამისობა და შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები პროგრამის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით. მისი თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებთან რეკომენდაციების თაობაზე გაიმართა მსჯელობა ვიზიტის მიმდინარეობისას, ვრცლად და დეტალურად იქნა განხილული თითოეული მათგანი. მომხსენებლმა წაიკითხა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, რიგი სილაბუსები დაკორექტირდეს სავალდებულო ლიტერატურის მითითების ნაწილში (მაგ. Legal English);
- მიზანშეწონილია, სილაბუსები (მაგ. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი და სასამართლო პრაქტიკა,) დაკორექტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სახელწოდებასთან. შემოტანილ იქნეს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამით პროფესიული უნარ-ჩვევები მითითებულია პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში, თუმცა სილაბუსიდან არ იკვეთება პრაქტიკული კომპონენტი. სასურველია, სილაბუსი დაკორექტირდეს ამ მიმართულებით;
- საგნებში შედარებითი კრიმინოლოგია და სახელშეკრულებო ვალდებულებები და სასამართლო პრაქტიკა სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია რუსულ და გერმანულენოვანი ლიტერატურა დათქმით, რომ ლექტორის მიერ მომზადდება ე.წ. handout-ები. სწავლების სამაგისტრო საფეხურზე, სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, სასურველია სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს მათთვის გასაგებ ენაზე სრულად და არა მოდიფიცირებული/შემცირებული სახით, ე.წ. handout-ების მეშვეობით;
- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გათვალისწინებულია ინგლისური ენის B 2 დონეზე ცოდნის დადასტურება, ამასთან, პროგრამის დასრულების წინაპირობად მითითებულია შესაბამისი საერთაშორისო გამოცდის ჩაბარება. ვფიქრობთ, თუ დაწესებულება შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენას პროგრამის დასრულების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს, სასურველია მეტად შეუწყოს ხელი შესაბამის შედეგებზე გასვლას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აქ გარკვეულწილად აკადემიურ თავისუფლებასთანაც ჰქონდათ საქმე, ბევრი რამ უფრო მეტად გემოვნების საკითხი იყო, ექსპერტთა ჯგუფს მთლიანობაში დადებითი მოსაზრება ჰქონდათ პროგრამაზე.

დაწესებულების წარომადგენელმა, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაციის შემთხვევაში საუბარი იყო ტექნიკურ უზუსტობებზე, რაც მარტივად გასწორდა. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შემთხვევაში შემთხვევაში, აქ საუბარი იყო იმაზე, რომ თუ სხვა შემთხვევებში კონკრეტული გადაწყვეტილებები იყო მითითებული, აქ მითითებული იყო გადაწყვეტილებათა კრებული.

წარმომადგენლის თქმით, რიგ შემთხვევებში ლიტერატურის ორიგინალ ენაზე მითითება განპირობებული იყო იმით, რომ ტერმინოლოგია არ იყო კარგი ნათარგმნი, ამდენად, მიუთითა ყველაზე კარგ თარგმანზე.

კრიმინოლოგიის სასწავლო კურსთან დაკავშირებით წაერმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო უახლესი ლიტერატურა, რომელიც მხოლოდ გერმანულ ენაზე იყო წარმოდგენილი, ამდენად, კურსის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა „ჰენდაუთების" სახით მიეწოდებინა სტუდენტებისათვის მასალა.

პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს რეკომენდაცია და ჩართეს სხვა კომპონენტებიც, მაგ., სტუმრების მოწვევა (მოსამართლეები, პროკურორები და ა.შ.), ასევე, დაემატა იმიტირებული პროცესები.

უცხო ენასთან დაკავშირებით არ დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებას დაწესებულების წარმომადგენელი, მისი თქმით, პროგრამა ექვს სპეციალიზაციის და ორ საუნივერსიტეტო საგანს ითვალისწინებდა ინგლისურ ენაზე, შესაბამისად, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სტუდენტის საჭირო შედეგზე გასვლას.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ყოველწლიურად ჰქონდა ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა, რომელიც ემსახურებოდა შესაბამისი სპეციალისტების მოწვევას, სტუდენტების საერთაშორისო იმიტირებული პროცესებისათვის მოსამზადებლად. ამ მხრივ, უნივერსიტეტს ჰქონდა კიდეც წარმატებები. მისი თქმით, ეს იყო საქართველოს მასშტაბით ყველაზე მრავალრიცხოვანი პროგრამა, მასზე 276 მაგისტრანტი სწავლობდა, ეს ციფრი თავად მეტყველებდა შესაბამის მოთხოვნაზე.

ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ მისთვის ექსპერტის რეკომენდაციებს უფრო მეტად პრაქტიკული სახე ჰქონდა, პრაქტიკული კომპონენტის მოთხოვნასაც სრულად ფარავდა იმიტირებული პროცესები. იგი დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს ლიტერატურის თაობაზე, ასევე, სხვა შემთხვევებშიც უფრო მეტად გემოვნების საკითხები იყო წარმოჩენილი.

18:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 19:05 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი-0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი-0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი-0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი-0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი-0);

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 19:10 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
მაია ჩიხლაძე